კვირა, აგვისტოს 3 1919 წ. ფასი 1 მ. 50 კ. № 141

წელიწადი მესამე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ქვეყანა

**რედაქცია**

**საგაზეთო მასალა** უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხრობები.

**რედაქცია ღიაა:** დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

**მისამართი:** ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის ს. **ფოსტის ადრესი:** ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

**კანტორა**

**გაზეთის ფასი;** ერთი თვით 30 მან. 3 თვით 75 მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. და 50 კ. უკანასკნელზე 1 მ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** საშუალო ზომისა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 40 მ., 12 საათის შემდეგ 50 მან.

**კანტორა ღიაა:** დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

მშობლები ალექსანდრე და მარიამ მღებროვები აუწყებენ ნათესავთ ნაცნობთ და მეგობართ რომ კვირას, 3 აგვისტოს დილის 11 საათზე სომხების ეკლესიაზე გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი მათი საყვარელი შვილის

ანა |შუშანა| მღებროვის

სულის მოსახსენებლად.

2—2

ანონსი

9 აგვისტოს

გაზეთ „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციის ფონდის გასაძლიერებლათ

საზაფხულო საკრებულოში

გაიმართება

დიდი საღამო

კურსების გოგირდის აბანო.

ძმ. უგრეხელიძეების (ყოფილი არჯავანიძეების) კურსების გოგირდის წყლის აბანოს სეზონი გაიხსნა 5 ივლისიდან. აბანო არსებობს სოფ. კურსებში არჯავანიძის პლატფორმასთან (ტყიბულის რკინის გზის ლიანდაგი). აბანოსთან მოწყობილია ოთახები და ბუფეტი. წყალი ვანებისათვის ყოველთვის როგორც ცხელი ისე ცივი მზად არის. მატარებლის გაჩერება განახდა დღეში ორჯერ.

თვ. მოიჯარადრეები ძმ. უგრეხელიძეები.

აუშარბს ძმ. ქორქოლაძის ხრესილის საკურნალო აბანო

იშოვება სუფთა ბინა, სასმელ საჭმელი.

განცხადება.

ქალაქის სამაზრო ერობის გამგეობა ამით აცხადებს ერობის ხმოსანთა საყურადღებოთ, რომ ამა წლის 7 აგვისტოს დღით ხუთშაბათს დილის 11 საათზე ერობის ბინაზე დანიშნულია ქუთაისის სამაზრო

ერობის ხმოსანთა ყრილობა.

დღის წესრიგი:

1. ხონის რკინის გზა,
2. დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა,
3. ცენტრი და ერობათა ყრილობაზე წარმომადგ. არჩევა,
4. შტატების გადასინჯვა,
5. მილიონ-ნახევრიანი სესხის საკითხი,
6. მიმდინარე კითხვები,
7. გამგეობის წევრის არჩევა.

ბ. ამბაშიძე.

## ექიმი ბოკერიას

ქირურგიული და ქალთა სნეულების საავათმყოფოში სამშობიარო განყოფილებით ივლისის 6 რიცხვიდან (ახ. სტ.) მუშაობა განახლდა და ავათმყოფების მიღებაც სწარმოებს.

ექიმი ვ. ი. მაჭავარიანი. იღებს საბებიო, ქალთა საშარდე მილის და ვენერიული სნეულების ავადმყოფებს (სისხლში შეშხაპუნება 606 და 914) ყოველ დღე დილის 9—12 საათ. საღამოს 6—8 საათ. მისამართი: რესპუბლიკის ქ. საკუთარი სახ. ფოსტის გვერდით. 24—1

## რევოლიუციონური ორგანიზაციების იმმუნიტეტი.

დამფუძნებელმა კრებამ 1 ივლისის სხდომაზე შემდეგი ფორმულა მიიღო: „რევოლიუციონური ორგანიზაციებისა და მათი წევრების გასამართლება ამ მოქმედებისათვის, რომელიც მიმართული იყო რევოლიუციისა და მის მონაპოვარის დასაცავად, დაუშვებელია“.

კანონი, ვიდრე საკანონმდებლო დაწესებულებას არ გაუუქმებია, თვითეული მოქალაქისთვის სავალდებულო უნდა იყოს.

მაშასადამე ხსენებულ კანონსაც უნდა დავმორჩილოს, ვინც უნდა იყოს, მოსამართლე თუ ადმინისტრატორი, უბრალო მოქალაქე თუ დიდი ხელისუფალი.

იმავე დროს კონსტიტუციის ძალით არათუ უფლება გვაქვს, არამედ მოვალე ვართ, კანონი კრიტიკის ცეცხლში გავატაროთ და მისი ავი მხარეები აღვნიშნოთ, რომ, თუ კი მისი გაუქმება აუცილებელია, რაც შეიძლება, მალე იქნეს ხელ-ახლა განხილული და უკუგდებული.

ხსენებული კანონი ათავისუფლებს სამართლის წინაშე პასუხისგებისაგან რევოლიუციონური ორგანიზაციების წევრებს.

მაგრამ, ჯერ ერთი, გამორკვეული არ არის, რა უნდა ჩაითვალოს რევოლიუციონურ ორგანიზაციად. მუშათა საბჭოები რომ რევოლიუციონურ ორგანიზაციებს წარმოადგენენ, უეჭველია.

მეორე მხრით სოციალ-დემოკრატიული პარტიის კომიტეტები, სოციალ-რევოლიუციონერების, სოციალისტ-ფედერალისტების და სხვა სოციალისტების კომიტეტებიც ხომ რევოლიუციონური ორგანიზაციებია? და ხომ ვერც ეროვნულ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს წავართმევთ ამ ღირსებას?!

იმავე დროს ხომ აღარავინ არის ასეთი, რომ ერთერთის ხსენებული ორგანიზაციის წევრად არ ითვლებოდეს!

მაშასადამე კანონმდებელს უნდა განესაზღვრა, რომელი ორგანიზაციები ჩაითვლებიან რევოლიუციონურ ორგანიზაციებად.

ავიღოთ, მაგალითად, სახალხო გვარდია. ერთი მხრით ის — რევოლიუციონური ორგანიზაციაა, რადგან რევოლიუციის მიერ და რევოლიუციისთვის წარმოშობილია; მეორე მხრით კი — სახელმწიფოებრივი; დაკანონებული ორგანიზაციაა, მაშასადამე, აღარ უნდა ითვლებოდეს რევოლიუციონურ ორგანიზაციად.

მაშ მოსამართლეს მეტად გაუჭირდება იმის გამოძიება, რევოლიუციონური ორგანიზაციის წევრია თუ არა რომელიმე ბრალდებული.

და, მეორე, ჩვენ თუ უფლებრივს, ნორმალურს, სახელმწიფოებრივ მდგომარეობაში ვართ, ყოველგვარი იმმუნიტეტი სასამართლოს წინაშე პასუხისგებისაგან მოსპობილ უნდა იქნეს.

იუსტიციის მინისტრმა ბძანა: „8 თვის განმავლობაში კავკასიის მუშათა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარედ ვიყავი და, თუ გამასამართლეს, 100 წელიწადი არ მეყოფა სასჯელადო; ამიტომ არის საჭირო რევოლიუციონური ორგანიზაციების იმმუნიტეტი.

მიკვირს კი, როგორ არ იცის იუსტიციის მინისტრმა, რომელიც იმავე დროს იურისტია, რომ საკანონმდებლო დაწესებულება ამგვარი შემთხვევებისათვის ამნისტიას გამოსცემს ხოლმე. ი. ი. პოლიტიკურ მოღვაწეთ წარსულ დანაშაულთათვის პასუხს არ აგებინებს.

თვარა — უკანონობის დაკანონებით — ისედაც აწეწილ დაწეწილი უფლებრივი მდგომარეობა და ანარქია კიდევ უფრო გაძლიერდება, არათუ კანონიერება დამკვიდრდება.

ვასილ წერეთელი.

## გადასახადის საკითხი.

ერთი უმთავრესი წყარო სახელმწიფოს არსებობისა არის საზოგადო გადასახადი. რამდენადაც გადასახადი აუცილებელი საჭიროა, იმდენად საჭიროა მისი სამართლიანი გაწერა და დაკანონება.

მთავრობამ, სადაც უნდა იყოს ეს დამკვიდრებულ სახელმწიფოში იქნება თუ ახლად ფეხ ადგმულ დემოკრატიულ რესპუბლიკაში, კარგათ უნდა იცოდეს, რომ რამდენადაც უფრო სამართლიანი განაწილებულია გადასახადი და კანონიერათ დაწესებული, იმდენათ უფრო ადვილია მისი წესიერათ აკრება. უსამართლო და უკანონო გადასახადი მუდამ აღელვებდა ხალხს და ჰქმნიდა ისეთ ნიადაგს, რომელზედაც აღმოცენდებოდა ხოლმე სხვადასხვა ხასიათის ამბოხება და გამანადგურებელი სისხლის ღვრა. რამდენადაც სახელმწიფო მეტ ძალმომრეობას იჩენს გადასახადის აღებაში, იმდენათ უფრო სანანებლათ ურჩება ბოლოს და ბოლოს, რადგან ზედმეტი ძალმომრეობა სახელმწიფოს მხრივ ყოველთვის ცუდ გამოძახილს იწვევს ხალხში.

ჩვენი ხალხი კანონიერ გადასახადს გადაჩვეულია. რუსეთის მთავრობის ფარფაშის ხანაში გადასახადი ყოვლად უმზგავსოთ ნაწილდებოდა და ყოვლად უწესოთ იკრიბებოდა. ამ ნიადაგზე იმდენი უბედურება იყო და ისეთ არა ადამიანურ შემთხვევებს ქონდა ადგილი, რომ როცა ყოველივე გამომჟღავნდება მომავალ თაობას გაანცვიფრებს.

ამ ბოლო წლებში ჩვენში სულ შეწყდა გადასახადის გაწერა და აკრება. მართალია

ხალხმა თავისუფლათ ამოისუნთქა და გადასახადის გამო განცდილი უსიამოვნება დაივიწყა, მაგრამ საუბედუროთ ხალხში უნიჭო და უთაური მოქადაგეების ნალაპარაკევის გამო ის ყალბი შეხედულება გავრცელდა, რომ შესაძლებელია სულ მოისპოს გადასახადი და სახელმწიფომ ისე იარსებოსო. ეს შეხედულება დაშინებულ ხალხს ძლიერ იამა, მაგრამ ის აღარ უფიქრიათ, რომ ეს სიზმარი იყო და არა სინამდვილე. ამნაირათ ჩვენი ხალხი უკანონო გადასახადს აშორდა და კანონიერიც აღარ სწამს. დღეს მთავრობა იძულებულია ყალბი შეხედულება ხალხში გააქარწყლოს და სწორი, საღი შეხედულება დაამყაროს, ამის თქმა რასაკვირველია იმას აღარ უხერხდება ვისაც უწინ ყალბი შექონდა.

ყოველ შემთხვევაში მთავრობა ყველგან და ნამეტურ ჩვენში ძლიერ ფრთხილათ უნდა მოეკიდოს გადასახადის საკითხს. აქ აუცილებელია გაწერაში—სამართლიანობა, აკრეფაში წესიერება, და დახარჯვაში პატიოსნება და სიწმინდე.

თუ მთავრობას არ უნდა თავისი ავტორიტეტი დასცეს და ხალხის თვალში ნდობა დაკარგოს გადასახადის საქმეში პირნათლათ უნდა მოქმედებდეს. მთავრობის სახე აქ ნათელი უნდა იყოს; მთავრობის ხელი ამ შემთხვევაში ფაქიზი უნდა იყოს.

სამწუხაროთ გადასახადის საკითხში ჯერ საიმედო ნიშნებს ვერ ვხედავთ. ქუთაისში ამ დღეებში დიდი მითქმა-მოთქმაა და შეიძლება ეს არა სასიამოვნო მოქმედებაშიც ჩამოყალიბდეს. როგორც გამოირკვა ამ დღეებში ზოგიერთი წვრილმალი მოვაჭრისთვის წლიურათ 3000—მანეთი შეუწერიათ, საშუალო ვაჭრისთვის 70—80 ათასი. ჩვენთვის ჯერ გაუგებარია რა პრინციპს ემყარება ასეთი წესით გაწერილი გადასახადი. არ ვიცით რა მოსაზრებით ხელმძღვანელობს მთავრობის მოხელე, როცა ასეთ განაწილებას ახდენს.

ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ცხადია და უდავოთ მისაღები, რაც მთავრობამაც უნდა გაითვალისწინოს, ეს ის გარემოება, რომ თუ გადასახადმა ვაჭრობის მწარმოელი შეაშინა, დააფრთხო—ის ვაჭრობაზე ხელს აიღებს, რაც ყოველ მხრივ სახელმწიფოს საზარალო იქნება. ან კი რა უნდა ქნას ვაჭარმა, თუ ვაჭრობას გადასახადის ატანა არ შეუძლია, მას დარჩენია ორში ერთი ირჩიოს: ან გასაყიდი საგანი ზედმეტათ გააძვიროს, ან ვაჭრობა შესწყვიტოს. პირველ შემთხვევაში ის მუშტარს და საზოგადოებას მტრათ გადაიკიდებს, მეორე შემთხვევაში ის ცხოვრების საშუალებას კარგავს. ვაჭრისთვის ორივე გზა გამანადგურებელია' მაგრამ ეს მოვლენა იმავე დროს საზოგადოების შემწუხებელიცაა, რადგან სიძვირე და ვაჭრობის შეზღუდვა ცხოვრებას აძნელებს, მაშასადამე სახელმწიფო ამ შემთხვევაში ყოველმხრივ დაზარებული რჩება. ამიტომ ჩვენ ვეკითხებით საქმის მეთაურთ, ვისთვის არის საჭირო ასეთი გადაჭარბებული გადასახადის გაწერა? განა ასეთი საშუალებით სახელმწიფოს ხაზინა აივსება? ეს საშუალება რომ კარგი და საიმედო იყოს, განა ჩვენზე უმალ სხვა არ იზამდა? ცხოვრების გაუმჯობესება და სახელმწიფოს ნივთიერათ აღორძინება განა გადასახადის გადიდებაშია?

სახელმწიფოს კეთილდღეობისთვის ვაჭარ-მრეწველს და ყოველგვარ მწარმოებელს კანონმდებლობა უნდა სტუქსავდეს და ავიწროებდეს თუ უნდა ახალისებდეს და გამბედაობას უმატებდეს?

ვაშენებთ სახელმწიფოს, თუ ვანგრევთ? ამის პასუხი ჯერ ერთია—

გულში აშენება გვინდა, ხელით კი ვანგრევთ, სიტყვით ვაშენებთ, საქმით ვანგრევთ.

დაფიქრებაა საჭირო!!!

**ტრიფონ ჯაფარიძე.**

## მუშათა საბჭოების მოლვაწეთა სასამართლოს წინაშე უკანასკნელის მგებლობა.

**ფორმულა მიღებული დამფუძნებელი კრების მიერ 31 ივლისის სხდომაზე.**

მოისმინა რა ს.-დ. ფრაქციის შეკითხვა მთავრობისადმი და ამ უკანასკნელის განმარტება ჭიათურის მომრიგებელ მოსამართლის მიერ ჭიათურის მ. საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ისიდორე ხარატაშვილის გასამართლების შესახებ და მიიღო რა მხედველობაში: 1) რომ რევოლიუციონური ორგანიზაციების და მათ წევრთა გასამართლება წარსულ რევოლიუციონურ მოქმედებისათვის ყოვლად შეუწყნარებელია, რადგან ეს იქნებოდა რევოლიუციის გასამართლება; 2) რომ ხარატაშვილი მოქმედებდა რევოლიუციონურ ორგანოს—ჭიათურის მ. დ. საბჭოს დავალებით და მხოლოდ მის დადგენილებებს ასრულებდა, ადგენს:

1. რევოლიუციონური ორგანიზაციების და მათ წევრთა გასამართლება იმ მოქმედებისათვის, რომელიც მიმართული იყო რევოლიუციის და მის მონაპოვართა დასაცავად, დაუშვებელია, 2. ასეთი ხასიათის საქმეების წარმოება, თუ კი ისინი რესპუბლიკის ტერიტორიაზედ სადმე არის დაწყებული დაუყონებლივ მოისპოს; 3. მოისპოს აგრეთვე ხარატიშვილის საქმის წარმოებაც, როგორც ასეთი ხასიათისა.

(დაწვრილებითი ანგარიშს ხვალ მოვიყვანთ).

## ერ-დემ ფრაქციის შეკითხვა.

ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ დამფუძნებელ კრებაში შემდეგი შეკითხვა შეიტანა:

30 მკათათვეს, შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით დახურეს გაზეთი „სალი კლდე“ და მისი რედაქცია დაბეჭდეს. ამ გაზეთის თანამშრომელი გაბაშვილის ბინა გაჩხრიკეს და თვით გაბაშვილი დააპატიმრეს.

ეს აქტი დარღვევაა რესპუბლიკის ძირითადი კანონისა სიტყვისა და პრესის თავისუფლების შესახებ.

ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციის დავალებით ვეკითხები მთავრობას: იცის თუ არა მან შინაგან საქმეთა მინისტრის ეს უკანონო მოქმედება და თუ იცის, რა ზომებს იღებს იგი, რესპუბლიკის ძირითად თავისუფლებათა დასაცავად.

ეროვნულ-დემოკრატ. ფრაქციის დავალებით **სპ. კედია.**

## ინგლისელების ჯარის ჩამოსვლა ბათომში.

გაზეთ „ნორ-აშიატავორის“ ბათომელი კორესპოდენტი იუწყება: მიუხედავათ იმ ცნობებისა, რომ ინგლისელები გადიანნ ამიერ-კავკასიიდანს 24 მკათათვეს ბათომში ჩავიდნენ ინგლისური ახალი ჯარები, რომელთაც უნდა შესცვალონ ამას წინედ საქართველოდან გასულები.

## ინგლისელების მიერ კასპიის სამხედრო ფლოტილიის მოხალისეებზე გადაცემა.

გაზ. „როსიის“ 18 №-ში დაბეჭდილია შემდეგი ცნობა. ამ ჟამად პეტროვსკში ინგლისელები მოხალისეთა ჯარს აბარებენ კასპიის სამხედრო ფლოტილიას.

ჯერ ხნობით გადაცემულია დივიზიონი გამანადგურებელ გემთა რომელზედაც ანდრიას დროშები აღმართეს. რუს მეზღვაურებმა ჩაიბარეს აგრედვე რამდენიმე დიდი და პატარა შეიარაღებული გემი.

ზღვაში პეტროვსკის წინ ყოველ დღე არის საზღვაო აღლუმები და სასწავლო სროლა. საყურადღებოა გამანადგურებელთა მოქმედება, რომელნიც 80 ვერსამდე გადიან საათში. ისინი უაიტხედის ნაღმებით არიან შეიარაღებული.

კასპიის ფლოტილიის შტაბს საკმაოდ მოეპოვება გემზე მოსამსახურე მეზღვაურთა და ოფიცერთა შემადგენლობა.

## ინგლისის საგარეო რაზმი დენიკინის დასახმარებლად.

ეკატერინოდარში ჩავიდა ინგლისელ მფრინავთა ოფიცრები, რომლებიც შეადგენენ მოხალისეთა ჯარის ოფიცერთა შემადგენლობას. ჩამოსულთა შორის ინგლისის საუკეთესო მფრინავები არიან. რაზმის უფროსათ არის მაიორ კოლლიშორი, რომელმაც 64 საჰაერო გამარჯვება მოიპოვა გერმანელ ავიატორებთან ბრძოლაში.

# ახალი ამბავი

### ქუთაისი.

**ეროვნულ დემოკრატიული პარტიის საღამო.** ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საღამო, რომელიც გაიმართება გაზეთ „ჩვენი ქვეყნის“ სასარგებლოდ შესდგება შაბათს 9 ავგისტოს საზაფხულო საკრებულოს სხდომაში.

✦ **ბათომის ამბები.** 31 ივლისს ბოროტგამზრახველები თავს დაესხენ კოწია ნარსიას, რომელიც უკვე გემში ჩასხდა და სტამბოლში უნდა, გამგზავრებულიყო წაართვეს ერთი მილიონი მანეთი და თვითონ დაჭრილია. მოკლულია ნარსიას შეგირდი. ჩამოსულების გადმოცემით ადმინისტრაციამ სასწრაფოდ მიიღო ზომები მმარცველებიდან მოკლულია 2, ორიც დაჭრილია.

✦ **ძარცვა გლეჯა და ბათომის ვაჭრები.** ბათომში ძარცვა გლეჯის გავრცელების გამო ვაჭარმრეწველები ძალზე შეწუხებულნი არიან. უკანასკნელ დღეებში ბევრმა ვაჭარმა სავაჭროები დახურეს და წარმოებას თავი გაანებეს.

✦ **კლუბზე თავდასხმა.** ამ დღეებში ბათომის კლუბს თავს დაესხენ ყაჩაღები. წაიღეს რამდენიმე ასი ათასი მანეთი.

✦ **ინგლისელების გაძარცვა.** გუშინ ოზურგეთიდან ჩამოსულმა პირმა გვიამბო რომ 1 აგვისტოს ღამით ნატანებსა და ქობულეთს შორის ბატარეელში გაძარცვეს სტამბოლიდან მომავალი ინგლისელი, რომელსაც წაართვეს დაახლოებით 1 მილიონი მანეთი.

✦ **ფრონტის დღის შემოსავალი.** ქუთაისში გამართულ ფრონტის დღემ 25 და 27 ივლისს წმინდა შემოსავალი დასტოვა 70.000 მანეთი.

✦ **მოქალაქეთა დაბეგვრა.** ხარჯის ამკრეფ ინსპექტორებს დიდი გადასახადი შეუწერია ვაჭარ-მრეწველობაზე, ამის გამო საზოგადოებაში მითქმა-მოთქმაა და შეიძლება ვაჭართა გაფიცვა მოხდეს.

✦ **მოსამსახურეების მდგომარეობა.** ქუთაისის სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახურეთ ივლისის ჯამაგირები ჯერ კიდევ არ მიუღიათ, რის გამო მოხელენი დიდი გაჭირვებას განიცდიან.

✦ **მონოგრაფიული საზოგადოების საყურადღებოდ.** ქალალდის სიძვირის გამო მოქალაქენი ძველ საბუთის ქალალდებს ჰყიდიან, რასაც მეხილეები იძენენ. ამ ქალალდებში ბევრი საყურადღებო და დიდ მნიშვნელოვანი საბუთები მოიპოვება. ეთნოგრაფიულმა საზოგადოებამ ყურადღება უნდა მიაქციოს და ასეთი საბუთები შეკრიბოს.

✦ **თბილისის ქალაქის გამგეობამ** სასურსათო განყოფილებას ნება დართო შაქრის ფუთი 360 მანეთად გაყიდოს (გირვანქა 9 მანეთი.)

✦ **დახმარება დრამატიულ საზოგადოებას.** განათლების მინისტრის ამხანაგმა შუამდგომლობა აღძრა მინისტრთა საბჭოს წინაშე, რათა დრამატიულ საზოგადოება მიეცეს ყოველ თვიურ დახმარებათ 15 ათასი მან. და სახალხო სახლს —3 ათასი.

✦ **ბახმარო.** ბასარიტის ეკატერინენენ, დადგა თ[illegible] ბელი ხალხი მოაწყდა ამ საგარეაკო ალაგას. ამ ჟამად იქ ალარც კი იშოვება თავისუფალი ბინა.

✦ **კრედიტის გახსნა.** მთავრობის სახალხო ბანკის თბილისის განყოფილებამ კრედიტი გაუხსნა პარკის ოპერაციისთვის 600 ათასი მან. ოზურგეთის კავშირს და 300 ათასი საჯეკახოს. გარდა ამისა კრედიტი გაუხსნა ჰურის ოპერაციისთვის გომის და გორის კავშირებს თითოს მილიონი მანეთი.

✦ **ქუთაისის სამხატვრო საზოგადოებას.** ქუთაისის სამხატვრო საზოგადოების დადგენილებით ამიერიდან ეწოდება ქართველ ხელოვანთა საზოგადოება.

✖ **ჯარის რეორგანიზაცია.** ამ ჟამად ხდება ჯარის რეორგანიზაცია. საუკეთესო და გამოცდილი ოფიცრობა სამსახურს გარეთ რჩებიან.

## საქონლის შემოტანის შეწყვეტა.

ქ. ფოთი და მისი ნავთსადგური საქართველოს რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის ბარომეტრია. ფოთის ნავსადგური ნამდვილი სარკეა მისი, თუ დონეზე სდგას საგარეო ვაჭრობის საქმე. წასული წლიდან მოყოლებული ვიდრე ნიმდინარე წლის პირველ რიცხვამდე ზღვით, საზღვარ გარეთიდან მოტანილ საქონლის მიღებას, დახედვა-დაბაჟვას თითქმის ვერ აუდიოდა.

დაახლოებით ამა წლის თებერვლიდან სურათი შეიცვალა.

ფოთის ნავთსადგურში ვხედავთ ოკეანის, დიდი-წყალ-წყვის ინგლისის, ამერიკის გემებთან ერთად მორჩილ უმნიშვნელო სათათრეთის სანდლებს, ხოლო საქონელი კი არსად სჩანს.

ისევ, ფოთის ნავსადგურში თუ რაიმე შემოდის მცირე სანდალ ბარკასებით. საზღვარ გარეთიდან მოსულ გემებს, არაფერი მოაქვთ, აედან კი მიაქვთ შავი ქვა და აზერბეიჯანის ტრანზიტული ნავთი და მისი ნაწარმოები. უცხო ძალის შეცვლასთან ერთად შეიცვალა საქონლის შემოზიდვის საქმეც. აქედან სჩანს რომ საქართველოს გამოცხადებული უნდა ჰქონდეს ბლოკადა.

№.

## ფკიპუერტები.

**მჭ!**

**მამა:** ეს რა უქნია დამფუძნებელ კრებას. სასამართლოებს აუქმებენო,—როგორც ხალხში ლაპარაკობენ.

**შვილი:** მჭ!.. აბა როგორ გეგონა. დღეიდან რაც უნდა დავაშავო, რაც უნდა ბოროტება ჩავიდინო, მთელი შენი ქონება რომ გავფლანგო, აი ეს სახლი დავსწვა და შენც მოგკლა,—ხმას ვერავინ გამსცემს.

**მამა:** აბა რას ამბობ, გაგიჟდი?

**შვილი:** არ გავგიჟებულვარ, მაგრამ სოც.-დემოკრატი კი ვარ,—რევოლიუციონერი. ხომ წაიკითხე გაზეთებში დამფუძნებელი კრების რეზოლიუცია:

„რევოლიუციონური ორგანიზაციების და მათ წევრთა გასამართლება ყოვლად შეუძლებელია.

დღეიდან ყველა სოციალისტს უფლება აქვს ჩაიდინოს ის რასაც სოციალისტური თავი უკარნახებს.

**მამა:** ვაი ჩვენი ბრალი შენისთანა სოციალისტები ააშენებენ საქართველოს.

**შვილი:** მაშ!..

**ი. ბ.**

## ქართველ მწერლებისადმი.

ქართველ მწერალთა კავშირის გამგეობას განზრახული აქვს ამ მოკლე ხანში გამოსცეს დიდი ფორმატის ლიტერატურული კრებულის პირველი ნომერი.

ასეთი კრებულის გამოცემის აუცილებლობას საბჭო თავიდანვე გრძნობდა, მაგრამ მრავალი დამაბრკოლებელი მიზეზები, —ტეხნიკური, მატერიალური და სხვ.. ხელს უშლიდნენ ამ აზრის განხორციელებას.

ამ ჟამად ეს დაბრკოლებანი თითქმის გადალახულია, ვინაიდან ხსენებულ კრებულის გამოცემის საქმე თავს იდვა ამიერკავკასიის კოოპერატივთა კავშირმა.

სდგება რა, ამგვარათ, მკვიდრ ნიადაგზე საქმე კრებულის გამოცემისა, კავშირის გამგეობამართავს ქართველ მწერლებს თხოვნით გამოგზავნონ თავიანთი ნაწარმოები კრბულში მოსათავსებლათ პირველ სექტემბრამდე. კრებულში იქნება შემდეგი განყოფილებანი: პოეზია, ბელეტრისტიკა, ესთეთიური მხატვრობა, (მუსიკა, თეატრი, მხატვრობა, ქანდაკება და სხვ).

თანახმად მწერალთა კავშირის საბჭოს დადგენილებისა, უკვე არჩეულია სარედაქციო კოლეგია, რომელშიაც შედიან ბბ. ს. აბაშელი, ა.კ. პაპავა, გრიგოლ რობაქიძე და ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირის წარმომადგენელი ბ-ნი ივ. ჩაგარელი.

ვინაიდან მასალების გასაცნობათ და შესაფასებლად რედაქციას ერთი თვე მეტად მცირე დროთ მიაჩნია, საბჭო სთხოვს მწერლებს კრებულისათვის გამოგზავნონ მეტად შერჩეული მასალა. მასალები გამოიგზავნება შემდეგი მისამართით: ტფილისი, ქალაქის გამგეობა, გამგეობის წევრს აკაკი პაპავას, კრებულისათვის.

ქართველმწერალთა კავშირის **გამგეობა.**

## დეპეშები.

(საქ. დეპ. სააგ).

**აგვისტოს 1 ს.**

### გულშემვიკური ცნობები.

**მოსკოვი.** ივლის. 31. **სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტი.** კორელის ყელზე ჩვენი ჯარი ფინეთის საზღვრებზე გადავიდა მტრის წინააღმდეგ იბრძვის. ფინეთის ყურეში კრონშტადტის რაიონში მტრის ჰაეროპლანმა ყუმბარები ჩაშოყარა. პსკოვის რაიონში ბრძოლაა. ოსტროვსკის რაიონში ჩვენი ჯარი რკ. გზასთან შეტევაზე გადავიდა მინსკის რაიონში ბრძოლა გრძელდება. სლუცკის მიმართულებით ჩვენ ვიზნა დავსტოვეთ.

**სამხრეთის ფრონტი.** ხარკოვის მიმართულებით ჩვენ სკდ. კირიკოვკა ავიღეთ: კამიშინის ჩრდილოეთით ბრძოლა გრძელდება.

**აღმოსავლეთის ფრონტი.** ცარიცინის რაიონში ვოლგას მარცხნივ მხარეზე ჩვენ ახტუბა და ვლადიმიროვკა ავიღეთ. ჩელიაბინსკას ჩრდილოეთით ჩვენ 20 ვერსით წინ წავიწიეთ. კააიშილოვის ჩრდილოეთით ჩვენ სოფლები მივიღეთ. ჩვენ ტურინსკი დავიჭირეთ.

**ნაუენი.** ივლ. 31. სერბიის ბეჭვდითბიუროს ცნობით ხორენტიის ჯარის აჯანყება მართალი გამოდგა.

**კიევი.** ივლისის 30. იტალიის პრესის ცნობით, კოლჩაკის აღიარების საკითხი საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი. პრესაში გამოქვეყნებული ცნობები კოლჩაკის აღიარების შესახებ ნაადრევია. ოთხთა საბჭომ გადასწყიტა მას მხოლოდ სამხედრო დახმარება გაუწიოს.

**ნაუენი.** ივლ. 30 გერმანიის ნახშირის განაწილების შესახებ იუწყებიან, რომ პირველ რიგში დაკმაყოფილებული იქნება რკინის გზა, შემდეგ გემები, რომლებიც სურსაოის საზიდავათ არის დანიშნული. და ის ქარხნები, რომლებიც საკვებ საგნებს ამზადებს. უკანასკნელ რიგში სამრეწველოების საჭიროებას დაკმაყოფილებენ. ეხლანდელ მდგომარეობაში **გერმანიაში** სამრეწველოებისთვის საჭირო იქნება 5,4 მილიონი ტონი ნახშირი, იმავე დროს მის წილათ მხოლოდ 10 მილიონი შეიძლება იქნეს გადადებული. თუ მრეწველობა დაკმაყოფილებული არ იქნა მის ნამდვილ მოთხოვნილებებით, მაშინ შემოდგომაზე მილიონ უმუშევრებს და მოსამსახურეებს უნდა მოველოდეთ.

**კიევი.** ივლ. 30 საბერძნეთის ჯარს, რომელიც სმირნას დასაჭერათ გაიგზავნა ოსმალეთის ჯარი შეხვდა. ვენიზელოსმა ინგლისს და საფრანგეთს მიმართა სამხედრო დახმარებისთვის, მაგრამ უარი მიიღო, არმიცეს რადგან მოკავშირეებმა ნება დაეჩერათ სმირნა, მას შემდეგ რაც არა ერთხელ არწმუნებდა მოკავშირეებს, რომ ბერძნების ჯარს ოსმალთა ჯარი აღფრთოვანებით შეხვდებაო.

**ნაუენი.** ივლ. 30 ბულგარეთის მდგომარეობა ფრაკიასთან ერთად ჯერ კიდევ გაურკვეველია, რადგან ამ საკითხის გამო უთანხმოებაა.

**ლიონი.** ივლისის 31 საზავო კონფერენციის ტრანსილვანიის დელეგატმა ბუმანმა უნგრეთის წითელი ჯარის შეტევის შესახებ შემდეგი აზრი გამოსთქვა: „ევროპის მომავალი და ბალშევიზმისაგან მისი გადარჩენა ამ ჟამად სრულიად დამოკიდებულია რუმინიის არმიის გმირობაზე, რომელიც იძულებულია ორ ფრონტზე იბრძოლოს. თუ რუმინიის ჯარი საზავო კონფერენციის ჩარევამდე ვერ გაუმკლავდა, რუსეთ უნგრეთის წითელი ჯარი გაერთიანდება და საერთო შეტევას დაიწყებენ, იმ იმედით რომ მათ დაეხმარება ბულგარეთი, ავსტრია, სამხრეთი გერმანია და შეიძლება სლოვაკიაც. ეს არის ევროპის ზავის და წესრიგის მუდმივი საფრთხე. საფრანგეთის სამხედრო მწერლები აღიარებენ, რომ ბელაკუნის შეტევა ძალიან კარგათ არის დაწყებული. უნგრეთის ბალშევიკები ცდილობენ რუსეთის წითელ ჯარს შეუერთდნენ და იმავე დროს მარცხენა ფრთით ჩეხო-სლოვაკიის და რუმინიის ჯარის შეერთებას ხელი შეუშალონ. სოციალისტურ გაზეთების გარდა, რომელიც რუსეთის და უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკების საქმეში ჩარევის წინააღმდეგ იბრძვის, მთელი ფრანგული პრესა იმის მომხრეა, რომ დაუყოვნებლივ გაილაშქრონ უნგრეთის წითელი ჯარის წინააღმდეგ.

**ლიონი.** ივლ. 31. ჟურნალ „დე-დეგას“ ცნობით ხუთთა საბჭომ გადასწყიტა, ვილსონის ყურადღება მიაქციოს იმ პრაქტიკულ სიძნელეს, რომელსაც რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის განახლებას გამოიწვევს.

ლიონი. ივლის 30. საფრანგეთის ფლოტის დემობილიზაციის გამო, გალაცში, კონსტანცში და კორფუზე გააუქმეს საფრანგეთის საზღვაო ბაზები. გააუქმეს აგრეთვე მეისანში საფრანგეთის საზღვაო არმია. ლიონი. ივლისის 30. ევროპას მოელის ნახშირის კრიზისი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ომის დროს ნახშირის მრეწველობის დეზორგანიზაციის გამო ნახშირის დამუშავება შესამჩნევად დაეცა. საფრანგეთი, იტალია და სხვა ქვეყნები ძალიან შიშობენ. ინგლისს თავისუფალ ექსპორტისთვის მხოლოდ 23 მილიონი ტონა ნახშირი აქვს. შარშან კი 77 მილიონი ტონა ქონდა. ავსტრიის დელეგატება განაცხადეს, რომ ავსტრია სრულიად უნახშიროდ დარჩა. იტალიაში ნახშირი სრულიად არ არის. გამოსავალი ჯერ კიდევ არ არის ნახული ევროპის სახელმწიფოებს სურდათ, რომ შეერთებულმა შტატებმა ისევე, როგორც ომის დროს გამოიანგმრიშა, თუ რამდენი ნახშირი შეიძლება გამოიტანონ, მაგრამ თანახმა იქნება თუ არა ასეთი ზომების მიღებაზე ამერიკა, ეს კიდევ დიდი საკითხია.

### ინგლისური პრესა.

ბულგარეთის დელეგატებმა ორშაბათს რწმუნებულების ლრამატები წარმოადგინეს. ბულგარეთის ხელშეკრულების პირობები ყველა მზათაა, გარდა ფრაკიისა და ეგეის ზღვის შესახებ, რაც აქამდე სიძნელეს წარმოადგენს. ამერიკა და იტალია იმ აზრის არიან, რომ ბულგარეთს ზღვისაკენ გასავალი უნდა მიეცეს. დღეს ცნობა მოვიდა, რომ ჯერჯერობით ეს აზრი იმარჯვებს.

ტიტონის წინადადებას, რომ ომის დროს ამერიკასა და მოკავშირეთა შორის დადებული ფინანსური და ეკონომიური ხელშეკრულებანი გაგრძელდეს, ამერიკა არ იზიარებს, იტალიას საფრანგეთს და ინგლისს ძალიან სურთ ხსენებულ ხელშეკრულებათა გაგრძელება, მაგრამ ამერიკა გადაჭრილ უარს აცხადებს ამაზე.

ტიტტონის და ვენიზელოსს კერძო საუბარი ჰქონდათ და ბერძნულ წყაროებიდან მიღებულ ცნობებით, საბერძნეთისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებას მიაღწიეს ფრაკიის შესახებ.

ხუთთა საბჭო ჯერ კიდევ ცდილობს გამოძებნოს საშუალება რუსეთში და უნგრეთში ბოლშევიზმის ჩასაქრობათ. უკანასკნელ ხანს უნგრეთში მათ ყურადღებას არ იქცევს უნგრეთის გამოჩენილი მხედარი, გენიბენი, რომელიც ბუდაპეშტში საბჭოთა მთავრობას წითელი ჯარის შედგენაში ეხმარებოდა, მაგრამ შემდეგ გადააყენეს ნაკლებ რადიკალობისთვის. მოკავშირეები, რომ მას დახმარებოდნენ, გენ. ბემი ბელაკუნის წინააღმდეგ კონტრ-რევოლუციის შექმნას შესძლებდა. ჯარის უმეტესობა მას საუკეთესო სტრატეგათ სთვლის და მზათაა მის დროშის ქვეშ იბრძოლოს. საზავო კონფერენციის მიერ მიღებულ კერძო ცნობით, გენ. ბემი ზომიერ ბოლშევიზმზე ქადაგებს, რაც მას იმდენადვე მოსათმენად ხდის მოკავშირეთათვის, რამდენადაც კოლჩაკია. ყველაზე მეტად ის საჭიროებს ფულს, ამუნიციას და იარაღს, რაც უნგრეთში ამ ჟამად ერთიანად ბელაკუნის ხელშია. გენ. ბემს გავლენა აქვს გლეხებში, რომელნიც ბუდაპეშტის მმართველებს თან და თან ეთიშებიან:

რუსეთის შესახებ ჯერ არაფერია გადაწყვეტილი მზადდება ბლოკად: არის იმის ნიშნები, რომ შუა ზღვაში გემებს, გასჩხრეკენ, რადგან ეჭვი დაიბადა, რომ ვაჭრებს საბჭოთა რუსეთისთვის საქონელი მიაქვთ.

### ბერძნული პრესის ცნობები.

უნგრეთის საბჭოთა მთავრობის მდგომარეობა შესამჩნევათ შეირყა მას შემდეგ, რაც ჯარი უკანასკნელად დამარცხდა.

„ფორვერსტი“ ბელგიის სოციალისტებზე სწერს: „უნდა გაიგოთ მათი შეურაცყოფის გრძნობა, მაგრამ მათ არ უნდა ეხელმძღვანელათ ამ გრძნობით პოლიტიკაში, რადგან ეს კატასტროფას და ან დაცინვას გამოიწვევდა.

რენერმა, რომელმაც ოტტო ბაუერი შესცვალა და თავის თავზე ავსტრიის საგარეო საქმეთა მიართველობა იკისრა, გერმანელ საგარეო საქმეთა მინისტრს გერმან მიუელერს მისალმების დეპეშა გაუგზავნა.

## საქართველი და სურსათი საქართველოსათვის.

საქართველოს შემყიდველმა ბიურომ შეიძინა დიდძალი საქონელი და სურსათი, რომლის ნაწილიც უკვე მიიღო. მიღებულია შაქარი, ფართლეული, ძაფი, თუნუქი და სხვა. ეს საქონელი გაცილებით იაფადა ღირს ამ დღეებში მოელიან შაქარს, რომელიც სამჯერ იაფად ეღირება ვიდრე ეხლა იყიდება. პრინციპიალურად გადაწყვეტილია საკითხი ერთ-ერთ ამერიკელ ფირმასთან ხელშეკრულების დასადებად. ამ ფირმის მოწვდილი საქონელი ბაზარზე გაიყიდება. კარგი ღირსების ამერიკული ფეხსაცმელი 400 მანეთად ხოლო ინგლისური მატერიის კოსტიუმები 1200 მანეთად.

## აგრარული რეფორმა.

იანვრის 28-ის აგრარულ კანონით ჩამორთმეული მიწები მიწად-მოქმედების სამინისტროს აგრარულ რეფორმათა განყოფილებამ 4 კატეგორიათ გაჰყო. ეს კატეგორიები აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოსთვის ცალ-ცალკეა შედგენილი:

1. **დასავლეთ საქართველოსთვის:**

პირველ კატეგორიაში შედის: ეზოს ადგილები, ბაღების და ვენახების გასაშე-

## დაშორების მოლოდინში.

№-ს

მე ვითვლი დღეებს, მე ვითვლი წამებს,
და შემაშინებს უცებ შაბათი,
დაშორებაზე ფიქრი მაწამებს,
ავაზაკივით მოდის საათი;

და ისე მინდა მე სიახლოვე,
და ისე მინდა მეგობრის ხელი,
სახჩობელაზე რომ არ ვიგლოვო
ფიქრი უსიტყვო ენა უთქმელი.

**გრიგოლ ცეცხლაძე.**

## გოდება გრიგალში.

—წავიდეთ! წავიდეთ!—აგრგვინდა
გრიგალში გრიალა დდეები.
—არ გვინდა! არ გვინდა! არ გვინდა!—
პასუხად მღერიან ხეები.

ხუჭავენ დატეხილ წამწამებს
და მკვდარი ცვივიან ხრიგალში.
მე ღმერთი სიკეთეს დამწამებს,—
მივყობი კუბოებს გრიგალში.

—სადამდი! საითკენ! საიდან!—
ტირიან ჰაერში ყავრები!
—სულ იქით! უსაზღვროდ! ჰაიდა!
თავდადმა გარბიან მგზავრები.

— ვერ გახვალთ უთუოდ ალყებში!
ქაოსში ქარია მთიშველი!
—არიქა ვიხჩობით ტალღებში...
უფალო გვიშველე! გვიშველე!..

—წავიდეთ! წავიდეთ!—გრგვინავენ
გრიგალში გრიალა დდეები.
—არ გვინდა! არ გვინდა!—გმინავენ
და მაინც მიჰქრიან ხეები!!!

**შალვა კარმელი.**

ივლისის 20.

ნებლათ გამოსადეგი ადგილები და აგრეთვე სარწყავი ადგილები და არხები მდინარეთ ვეღლებზე („ხვილიპები“). ასეთი ადგილები ჩვეულებრივ დასვენებას არ საჭიროებენ და საშუალოთ თითო დესეტინა იძლევა წლიურათ არა ნაკლებ 150 ფუთი სიმინდისა.

მეორე კატეგორიაში შედის: ურწყავი სახნავი მიწები, საშუალო მოსავლის მომცემი, რომლებიც თითქმის არ ისვენებს და საშუალოთ დესეტინაზე 100 ფუთამდე სიმინდის მარცვალს იძლევა და აგრეთვე ისეთი სათიბები, რომელიც დესეტინაზე საშულოთ 150 ფუთი თივას იძლევა.

მესამე კატეგორიაში შედის: ნამეტანი ნესტიანი, ქვიანი და საერთოთ ნაკლებ ნაყოფიერი მიწები. („ეწერი“), რომლებიც ცოტათ თუ ბევრათ ხანგრძლივ დასვენებას მოითხოვს და წელიწადში დესეტინაზე საშუალოთ 60 ფუთამდე სიმინდს იძლევა.

მეოთხე კატეგორიაში შედის: საძოვრები, ე. ი. ჯაგებით დაფარული, ცოტათ თუ ბევრათ ჭაობიანი, ქვიანი ან დახრამული მიწები მათი ფასათ მიღებულ უნდა იქნეს პირველ კატეგორიის მიწების ღირებულების არა უმეტეს ერთი მეხუთედისა, ხოლო მაგის საძოვრების და საბალახოების ფასათ შესაძლებელია მიღებულ იქნეს პირველ კატეგორიის მიწების ღირებულების ერთი მეოთხედი.

**2. აღმოსავლეთ საქართველოსთვის.**

პირველ კატეგორიაში შედის: საცხოვრებელ ადგილების ახლომდებარე, ბაღების და ვენახების გასაშენებლათ გამოსადეგარი და სარწყავი მიწები, რომლებიც ცოტა დასვენებას მოითხოვს და საშუალოთ წელიწადში 60 ფფთამდე ხორბალს იძლევა.

მეორე კატეგორიაში შედის: საშუალო ნაყოფიერების ურწყავი სახნავი მიწები, რომლებიც შედარებით ხშირათ ისვენებს და წელიწადში საშუალოთ დესეტინაზე 50 ფუთამდე ხორბალს იძლევა და აგრეთვე სათიბები, რომლებიც საშუალოთ წელიწადში დაახლოვებით 150 ფუთ თივას იძლევა.

მესამე კატეგორიაში შედის: ურწყავი ნაკლებ ნაყოფიერი და ასეთი მიწები ხშირათ მოითხოვს დასვენებას და დესიატინაზე წელიწადში საშუალოთ 30 ფუთამდე ხორბალს იძლევა.

მეოთხე კატეგორიაში შედის: დაბალ ადგილების საძოვრები, სადაც ზაფხულის თვეებში ბალახი ხმება და შესაძლებელია შეფასდეს პირველი კატეგორიის მიწების ღირებულების ერთ მეხუთედათ, ხოლო მათი საძოვრები ერთ მეოთხედათ.

---

# ქ. ქართულ დრამატიულ საზოგ. სასარგებლოთ გამართულ საღამოს ანგარიში 16 მარტი.

| შემოსავალი | მ. | კ. | გასავალი | მ. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| ბილეთებიდან | 5107 | — | თფილისში სამგზ. გრ. აბაკელიას | 400 | — |
| პროგრამებიდან | 349 | — | თფილისიდან მოწვეულ მსახიობთ მომღერალთ გონორარი და ხარჯები | 3200 | — |
| შამპანიური მაგიდიდან | 800 | — | სანოვაგე: ვახშამისათვის და ჩაე ყავის | | |
| თამბაქოს ნებართვისაგან | 141 | 50 | მაგიდისათვის პაპიროსები და სხვა | 4226 | — |
| | | | ლიმონათები და ზელტერსკის წყალი | 235 | |
| ყვავილების მაგიდა ბანკეტებისაგან | 1270 | — | ტიპოგრაფიას აფიშების გაკვრა სხ. სამ | 206 | 20 |
| ლოტოდან | 751 | — | ნივთები საეუკიონო და ლოტოსთვის (ვოლოხს. და გვ.) | 1850 | — |
| ყავის და ჩაის მაგიდიდან | 1230 | — | თაიგულები | 150 | — |
| | | | მუსიკა და ზურნა | 450 | — |
| ფოსტიდან | 408 | 55 | ჩხეიძეს გიოგ. ბუფეტის დასათმ. | 1486 | 80 |
| | | | საკრებულოს დარბაზის ქირა და დაგვა | 600 | — |
| სურა და ქისის აუქციონიდან | 4320 | — | ჩილინგაროვს კონფეტების | 600 | — |
| შემოწირულებიდან (იხ. სია) | 4272 | | ოფიციანტებს 10 პროც, ნაცვლ. 15 პროც. | 734 | 30 |
| ვახშმიდან | 6834 | — | მზარეულებს და ჭურჭლების დამრეცს | 150 | — |
| | | | მუშებს | 432 | — |
| მან. | 25.483 | 05 | ქალაქის გადასახადი | 354 | |
| | | | დარჩა წმინდა მოგება — — | 10.408 | 25 |
| | | | | 25.486 | 05 |

# შემოწირულობა სია

ქ-მა მაჩაბლისამ მ. 953.
ბ-მა ვასილ ქეშაძემ „100.
ქ-მა მარიამ გოკიელოვისამ „100.
ბ-მა გიორგი სვანიძემ 50.
პირველ ქალთა გიმნაზიის კორპორაციამ. 84.
ბ-მა ბონდო მიქელაძემ. 150.
„ნიკო ფალავამ 250.
„ვლად. ამაშუკელმა 100.
„დიმ. რუხაძემ 50.
„იოს. გვეტაძემ 50.
„იაკ. ფანფხავამ 10.
„ლავრ. გრიგორაშვილმა 100.
„ირ. ჭეიშვილმა 100.
„პავლ. გვარამიამ 50.
„ივანე კოსტავამ 50.
„ილია კოსტავამ 50.
„კირილე თოთარიშვილმა 100.
„სამს. ჯავახაძემ 100.
„იოსებ ჭეიშვილმა 100.
„ანტომ მანაგაძემ 50.
„ლუკა გრიგოლაშვილმა 100.
„დათიკო შავგულიძემ 50.
„ივანე ჯულუხაძემ 50.
„ ვლ. და სერგო კოსტავამ 100.
„ონ. გამგონეიშვილმა 50.
„გერ. ბოლქვაძემ 50.
„ანხ. ძმ. შარვაშიძეებმა 50.
„ირაკლ. ბახტაძემ 50.
„ბორნ. მუხრეიშვილმა 50.
„იოს. ფხაკაძემ 50.
ანტონ ჟუშვერიძემ მან. 50.
პარმ. ყუბანეიშვილმა 50.
წერეთელმა და პაპუაშვილმა 100.
ილ. გრიგორაშვილმა 50.
მიხ. ლევიძემ 50.
მაქს. ლევიძემ და ფ. ჭეიშვილმა 50.
ძმ. შავგულიძეებმა 40.
გერასიმე ეფრემიძემ 50.
ბრბილეიშვილმა და კვერნაძემ 50.
გაბრ. შოთაძემ 30.
ძმ. ჩილინგაროვებმა 100.
მიტრ. ლაღიძემ 235.
X X. 100.
დიომიდ ფანცხავამ 50.
გიორგი ტყეშელაშვილმა 7 მ.

4272 მან.

საკრებულოს ოფიციანტებმა შემოწირულების სახით დაგვითმეს ნაწილი იმ პროცენტებისა, რომელიც მათ კანონით ერგებოდათ.

---

ქუთაისის დრამატიული საზოგადოების გამგეობა უღრმეს მადლობას სწირავს იმ პირთ რომლებმაც დახმარება აღმოგვიჩინეს როგორც დამხმარე პირებს, ისე შემომწირველთ.

**გამგეობა.**

---

# ეროვის მოსამსახურეთა ტურნეები სოფლად.

**(წერილი კურსებიდან.)**

იმ ხალხის ვინც ჩვენ თითქმის ყოველდღე ნატაციებს გვიკითხავს და გრძელგძელ დარიგებას იძლევა, ხშირად ავიწყდებათ თავისიანები, თორემ არ შეიძლებოდა ყურადღება არ მიექციათ იმ მოვლენისათვის, რომელიც აგერ ერთი ხანია სისტემატიურად მეორდება ჩვენს თვალსაჩინო პროვინციებში. საქმე ის გახლავსთ, რომ იმ დაწესებულების მოსამსახურენი, რომელიც ხალხმა დიდის ნდობით აღჭურვა, დიდს უწესრიგობას სჩადიან ჩვენს დაბა ქალაქებში. მე მოგახსენებთ ქუთაისის მაზრის ერობის შესახებ, რომელსაც თავი შეაფარეს განსაკუთრებით ს. დემოკრატების და ს. ფედერალისტების ქვეშევრდომებმა. ისინი გალაღებულნი თავისი ნივთიერი მდგომარეობით აწყობენ პატარ პატარა ექსკურსიებს ქუთაისის ახლომახლო სოფლებში ავტომობილებით და ხან მატარებელით და კიდევ ხან ფეხით, თან მიაქვთ სანოვაგე წითელი ღვინით; პატარა შექეიფების შემდეგ, როდესაც პაპანაქება სიცხის გამო ტემპერატურა ისედაც ძალზე აწეულია, ამას ზედ ერთვის წითელი ღვინით შეზარხოშება; აუტეხენ ვისმეს ჩხუბს ან თვითონ ერთმანეთს დაერევიან. ადმინისტრაცია უმწეოა მათთან წესიერების აღდგენაში, ვინაიდან ხუმრობა ხომ არ არის შეიარაღებულ მოწინააღმდეგესთან ბრძოლა ისიც ერობის ხალხთან. დამიფაროს ღმერთმა!

და ამ ბოლო დროს ადმინისტრაციაც არ ერევა მათ „სკანდალებში“, იციან რომ საქმე წინდაწინვე წაგებული იქნება. ვინც ადგილობრივ გაზეთებს თვალ ყურს ადევნებს იმისათვის ახალი არ იქნება ეს ამბავი. ამას წინად ხრესილში და უფრო წინეთ ტყიბულში ამ ვაჟბატონების წყალობით და მეოხებით მოხდა „სკანდალები“ მაგრამ რაც მოხდა ამ უკანასკნელ კვირას ს. კურსებში ამ ერობის „ტიოპლაია კამპანიაში“ ყველაფერს გადააჭარბა. იქაურების საყურადღებოთ არ ვწერ, ვინაიდან მათ ყოველთვის ზრდილობიანათ შეაფასეს ამ ვაჟბატონების საქციელი, მე მხოლოდ ავღნიშნავ: როცა სკანდალი თვით „კამპანიაში“ ასტყდა. იქვე კურსების ბაქანის ახლოს ქართველური სუფრა იყო გაშლილი მწვანეზე., მაგრამ უკაცრავად ქართველური კი არ ყოფილა, (ეს სიტყვა მათ ძლიერ ეჯავრებოდათ ძველათ) არამედ ს. დემოკრატიული და ს. ფედერალისტური, რასაკვირველია შემადგენლობით მხოლოდ უმრავლესობა კი როგორც სხვაგან აქაც ს. დემოკრატებს ეკუთვნოდათ. სუფრა ჩინებული იყო როგორც შეფერის დღევანდელ დროს და მათ მდგომარეობას. არ ეკლდათ არც წითელი ღვინო.

უწინ მარტო „მამულიშვილები“ სვამდენ ღვინოს და ქეიფობდა, ხან—უყურადოთ, მაგრამ რევოლიუციამ ეს მონაპოვარი სოციალისტებს შესთავაზა, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ მაშინ ფედერალისტებს ეძახდენ „მამულიშვილებს“ და ალბათ ამ მონაპოვარში ს. ფედერალისტებმა დიდი დახმარება გაუწიეს ს. დემოკრატებს, ასე იცის ბლოკმა.

ხარი ხართან რომ დაება ან ფერს იცვლის ან ზნესაო, ამბობს ანდაზა.

და ამ ქეიფსაც ჩვეულებრივათ მოყვა ჩხუბი; და რევოლვერების ტრიალი მართალია ადმინისტრაცია ამ „სკანდალში“ არ ჩარევია, არც რევოლვერი გავარდნილა, მაგრამ დანიანმა კი ისახელა თავი, არ ვიცი სწორედ დაჭრილი რამდენი იყო, მაგრამ თეთრი კოსტიუმი ყველას სისხლით ჰქონდა დასვრილი, ბოლოს ერთს ხელიც შეუხვიეს. საბედნიეროდ ზავი მალე ჩამოვარდა თუმცა დიდი მიწევმოწევის და ყვირილის შემდეგ. როცა ღვინო გამოინელეს გაახსენდათ რომ ისინი ყველა ერობის მოსამსახურენი იყვნენ. ხალხის შერცხვათ, მოსასხამები მოიხურეს და მატარებელს გამოყვენ.

ასეთ საქმეებს სჩადიან ჩვენი ერობის მოსამსახურეები სოფლად. თავიანთი ცუდი საქციელით ისედაც უკმაყოფილო გლეხებს უკარგავენ ყოველივე სიმპატიას ერობაზე. თვითონაც სახელს იტეხენ და თვითმართველობის პრესტიჟსაც ხცემენ.

ჩვენ მოვითხოვთ რომ ერობის გამგეობამ ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს.

**ივერიკო.**

---

**გაზეთ „ჩვენი ქვეყნის“ ფონდისათვის.**

მძიმე პირობებში უხდება რედაქციას გაზეთის გამოცემა.

სიძვირის გამო გაზეთის დეფიციტები ყოველდღიურად იზრდება.

საჭიროა თანამგრძნობთა დახმარება შემოწირულების შეგროვების სახით.

მოუწოდებთ მკითხველებს და პარტიის წევრებთ, როგორც ქალაქებში ისე სოფლებში შეაგროვონ შემოწირულებანი ჩვენი გაზეთის ფონდის გასაძლიერებლათ.

პარტიულ ახალგაზდებს ვსთხოვთ გამართონ პროვინციებში საღამო-წარმოდგენები და შემოსავალი გამოგზავნონ გაზეთის სასარგებლოთ.

პარტიის ყველა წევრი ვალდებულია დაეხმაროს თავის ინტერესების დამცველ ორგანოს.

მოქალაქენო, გაიღეთ თქვენი წვლილი დაეხმარეთ თქვენს გაზეთს.

გააძლიერეთ გაზეთის ფონდი.

**გაზ. „ჩვენი ქვეყანას“ რედაქცია.**

---

**რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.**

---

# მატარებლების საზაფხულო მიმოსვლა.

**1919 წ. 1 ივლისიდან.**

**ქუთაისში მოდის.**

**თბილისიდან.**

| | | | |
|---|---|---|---|
| პირდაპირი | № 3—5 ს. | და 50 წ. | დილით |
| ჩქარი | № 1—7 | — 80— | — |
| საფოსტო | № 3—7 ს. | — 40— | საღამ. |
| სამგზავრო | № 15-1 ს. | — 50— | ღამით |

**ბათომიდან.**

| | | | |
|---|---|---|---|
| პირდაპირი | № 72—1 ს. | და 30 წ. | დღით |
| სამგზავრო | № 6—5 — | — — | დილ. |
| ჩქარი | № 2—1— | — 50 წ. | ღამ. |

**ფოთიდან.**

| | | | |
|---|---|---|---|
| პირდაპირი | № 36—8 ს. | და 28 წ. | დილ. |
| საფოსტო | № 4—12 ს. | — 55 წ. | — |

**ტყიბულიდან.**

| | | | |
|---|---|---|---|
| სამგზავრო | № 81—10 ს. | და 20 წ. | დილ. |
| აფოსტო | № 3— 5 ს. | — 30 წ. | საღ. |

**ქუთაისიდან ვადის.**

**თბილისისაკენ.**

| | | | |
|---|---|---|---|
| პირდაპირი | № 12 —11 ს. | და 47 წ. | საღამ. |
| ჩქარი | № 2—10 ს. | და 2 წ. | საღამ. |
| საფოსტო | № 4—10 ს. | — 10 წ. | დილ. |
| სამგზავრო | № 6— 3 ს. | — 17 წ. | ღამით |

**ბათომისაკენ.**

| | | | |
|---|---|---|---|
| პირდაპირი | № 44—4 ს. | და 40 წ. | დღით |
| სამგზავრო | № 5 3 ს. | — 30 წ. | ღამით |
| ჩქარი | № 1—6 ს. | — — წ. | დილ. |

**ფოთისაკენ.**

| | | | |
|---|---|---|---|
| პირდაპირი | № 35 —3 ს. | და 25 წ. | დღით |
| საფოსტო | № 3—5 ს. | და 50 წ. | დილ, |

**ტყიბულისაკენ.**

| | | | |
|---|---|---|---|
| საფოსტო | № 4—7 | საათზე | დილას. |
| სამგზავროს | № 82—4 ს. | 4 წ. | საღამოსი |

**საათები ნაჩვენებია ადგილობრივი დროით.**

ქუთაისი, სტამბა „ძმობა“, პუშკინის ქუჩა; სახლი ძმ. ბერუჩაშვილებისა.